



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 293 2022 წლის 28 დეკემბერი თბილისი

„პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 13 ოქტომბრის №252 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2022 წლის 13 ოქტომბრის №252 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველ პუნქტში:

ა) „ნ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) შუბითიძე ნინო – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მსოფლიო ბანკის ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტის მონიტორინგის, შეფასების, კვლევისა და ანგარიშების სპეციალისტი – საბჭოს წევრი.“.

ირაკლი ღარიბაშვილი

